საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თიმარი

თიმარი, საკარგავი, ფეოდალური მიწათმფლობელობის ყველაზე გავრცელებული ფორმა შუა საუკუნეების ოსმალეთში. სულთნები თ-ს დაპყრობილ ქვეყნებში სამხ. ვალდებულებების შესრულების პირობით უბოძებდნენ თურქ მხედრებს – სიფაჰიებს. თ-ს აგრეთვე „კილიჩ" – ხმალი ეწოდებოდა იმის გამო, რომ აღნიშნული მიწები მხედრებს ხმლით ჰქონდათ მოპოვებული. სიფაჰის არ ჰქონდა თ-ის გასხვისების უფლება. თ. 1–3 სოფლისაგან შედგებოდა, შემოსავალი განისაზღვრებოდა 3–20 ათ. ახჩამდე (ფულის ერთეული ოსმალეთში), მაგრამ იგი ხშირად დაწესებულ მინიმუმზე დაბალი იყო. ყოველ 3 ათ. ახჩა შემოსავალზე თ-ის მფლობელს სულთნის ლაშქრობებში ერთი შეიარაღებული მეომარი უნდა გამოეყვანა. ოსმ. ბატონობის პერიოდში თ. ფართოდ გავრცელდა სამცხე-საათაბაგოში. იგი გაუქმდა XIX ს. 30-იან წლებში სამხ.-ლენური სისტემის ლიკვიდაციასთან ერთად.

ლიტ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957.

ვ. ჩოჩიევი